შპს მიქსორი (ს/კ:205249827)
ხანძთელის ქუჩა 1
ტელ:+995 32 265 67 05
0117 თბილისი, საქართველო
www.mixori.ge
info@mixori.com

MIXORI
CONSTRUCTION COMPANY

სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტოს უფროსს
ქალბატონ თამარ ფიცხელაურს

ქალბატონო თამარ,

გაცნობებთ, რომ შპს „მიქსორი" გეგმავს ქ. თბილისში, ლორთქიფანიძის ქ. N23-ში მის საკუთრებაში არსებულ ბეტონის საწარმოს ტერიტორიაზე ნარჩენების (ნამუშევარი ზეთების) აღდგენის მიზნით განათავსოს დანადგარი.

ვინაიდან, ზემოაღნიშნული საქმიანობა წარმოადგენს საქართველოს კანონის „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის" II დანართის მე-10 პუნქტის, 10.3 ქვეპუნქტით გათვალისწინებულ საქმიანობას და აღნიშნულ საქმიანობაზე, სააგენტო, ამავე კოდექსის მე-7 მუხლით დადგენილი სკრინინგის პროცედურის გავლის საფუძველზე იღებს გადაწყვეტილებას გზშ-ის საჭიროების შესახებ, „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის" მე-7 მუხლის მე-4 ნაწილის და თქვენი 2022 წლის 16 სექტემბრის N21/5325 წერილის შესაბამისად, მომზადებულ იქნა განახლებული სკრინინგის ანგარიში.

ამასთან, თქვენი 2022 წლის 16 სექტემბრის #21/5325 წერილის თანახმად, ობიექტის როგორც მოწყობა, ისე ექსპლუატაცია უნდა განხორციელდეს საქართველოს მთავრობის 2018 წლის 8 ივნისის N325 „ტექნიკური რეგლამენტი - ნარჩენების ინსინერაციისა და თანაინსინერაციის პირობების დამტკიცების თაობაზე" მოთხოვნების შესაბამისად. აღნიშნულთან დაკავშირებით გაცნობებთ, რომ დაგეგმილი საქმიანობა წარმოადგენს ნარჩენების აღდგენას და მას კავშირი არ აქვს ინსინერაციასთან.

გთხოვთ, განიხილოთ თანდართული დოკუმენტაცია და გასცეთ შესაბამისი გადაწყვეტილება.

დანართი: სკრინინგის ანგარიშის ელ. ვერსია, Shp ფაილები.

პატივისცემით,

შპს ,,მიქსორის"

დირექტორი: ---------------- /ილია მიხაშვილი/

ს.ს.ი.პ. გარემოს ეროვნული სააგენტო
20 . 09 2022წ.
№ 4985